ქ. თბილისი

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული

პირი

“ზარნაძეთა საგვარეულო კავშირი” – ს

წ ე ს დ ე ბ ა

2011წ.

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი
"ზარნაძეთა საგვარეულო კავშირი"–ს წესდება

I.

II. ზოგადი დებულებები

2.1 ზარნაძეთა საგავარეულო კავშირი არის არასამთავრობო ორგანიზაცია არასამეწარმეო იურიდიული პირი, რომელიც შექმნილია საქართველოს მოქალაქეთა ნებაყოფლობითი გაერთიანების საფუძველზე.

2.2 კავშირის სრული სახელწოდება: ზარნაძეთა საგვარეულო კავშირი (შემდგომში „კავშირი").

2.3 კავშირი თავის საქმიანობას წარმართავს საქართველოს მოქმედი კანონმდებლობისა და საკუთარი წესდების შესაბამისად.

2.4 კავშირი უფლებამოსილია ჰქონდეს ქონება, დამოუკიდებელი ბალანსი, საანგარიშსწორებო ანგარიშები (მათ შორის სავალუტო) საბანკო დაწესებულებებში, მრგვალი ბეჭედი, საკუთარი ემბლემა და სხვა რეკვიზიტები.

2.5 კავშირს უფლება აქვს დადოს ხელშეკრულებები, გარიგებები, შეიძინოს პირადი ქონებრივი და არაქონებრივი უფლებები და მოვალეობანი, გამოვიდეს მოსარჩელედ და მოპასუხედ სასამართლოში.

2.6 კავშირს უფლება აქვს მოქმედი კანონმდებლობით დააფუძნოს ფილიალები, წარმომადგენლობები და განყოფილებები, როგორც საქართველოს ტერიტორიაზე, ისე საზღვარგარეთ, რომლებიც იმოქმედებენ კავშირის მიერ დამტკიცებული დებულებით და კავშირის მიერ გაცემული მინდობილობით.

კავშირის იურიდიული მისამართია: საქართველო, ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 16, ბ 12.

2.7 კავშირი შეიძლება იყოს შესაბამისი საერთაშორისო სტრუქტურების ნამდვილი ან ასოცირებული წევრი.

2.8 კავშირს შეუძლია კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს სამეურნეო საქმიანობა, შექმნას საწარმოები, ფილიალები ან წარმომადგენლები საქართველოში და საზღვარგარეთ.

2.9 კავშირს შეუძლია ააშენოს, შეიძინოს, გაასხვისოს, იჯარით მიიღოს სხვისგან ან იჯარით გადასცეს თავისი საქმიანობისათვის საჭირო საკუთარი მოძრავი და უძრავი ქონება მონაწილეობა მიიღოს სოციალური დანიშნულების ობიექტების მშენებლობაში.

2.10 კანონით დადგენილი წესით მიიღოს მონაწილეობა სხვა იურიდიული ან ფიზიკურ პირებთან ორგანიზაციების დაფუძნებაში, თუ მათი საქმიანობა შეესაბამება კავშირის საწესდებო მოთხოვნებს.

2.11 კავშირს უფლება აქვს მონაწილეობდეს ბაზრობებში, გამოფენებში, ატარებდეს სიმპოზიუმებს, სემინარებს, გამოსცეს საინფორმაციო და სარეკლამო ლიტერატურა, ჰქონდეს საგვარეულო გაზეთი, შეიმუშაოს და დაამტკიცოს საჭირო პროგრამები, დააწესოს პრემიები ამა თუ იმ ღონისძიებებში საგანგებო დამსახურებისათვის.

III. კავშირის მიზნები

2.1. კავშირის მიზანია:

ზარნაძეთა გვარის წარმომადგენლების ღვაწლის გამოვლენა მეცნიერების, კულტურის, ლიტერატურისა და ხელოვნების, მრეწველობის, სოფლის მეურნეობის,

სპორტის და სხვა დარგების განვითარებაში, გვარისთვის და საზოგადოებისათვის გაცნობა და ხელშეწყობა:

ზრუნავს საგვარეულოს სიწმინდის ამაღლებასა და დაცვაზე, გვარში წესრიგისა და გერგილიანობის განმტკიცებაზე, საგვარეულოს თითოეული წევრის სულიერი და შემოქმედებითი შესაძლებლობების განმტკიცებისათვის, საგვარეულო ეკლესიის პოვნა გამოკვლევა, აღდგენა-რესტავრაცია და მასზე ზრუნვა;

საზღვარგარეთ და საქართველოში არსებული ქართული ეკლესია-მონასტრების აღდგენა-რესტავრაციისათვის დახმარების გაწევა;

საგვარეულოს რწმენაში განმტკიცებისა და ქართული ეკლესია-მონასტრებისა და კულტურული ძეგლების უკეთ გაცნობის მიზნით აწყობს ექსკურსია-მოლოცვებს ქვეყნისა და მის საზღვრებს გარეთ.

2.2. <u>კავშირის დევიზია</u>: ***ვიყვარებოდეთ ურთიერთას, რათა ერთობით აღვიარებდეთ***

2.3. თავისი მიზნებიდან გამომდინარე, კავშირი თავისი კომპენტეციის ფარგლებში აწარმოებს საქმიან ურთიერთობებს და დაწესებულებებთან, ორგანიზაციებთან, ფირმებთან და მათ წარმომადგენლებთან, სხვა პირებთან;

IV. კავშირის საქმიანობა

3.1. ზემოაღნიშნული მიზნის მისაღწევად კავშირი განახორციელებს შემდეგ საქმიანობას

- ეწევა ქველმოქმედებას,
- შეძლებისდაგვარად აფინანსებს მშენებარე ეკლესია-მონასტრებს;
- ეხმარება მიუსაფარ და სოციალურად გაჭირვებულ ადამიანებს;
- ზრუნავს უპატრონო ბავშვთა სახელებზე;
- ხელს უწყობს ახალგაზრდა თაობის აღზრდას,
- ზრუნავს გვარში გაჭირვებულ, სიციალურად დაუცველ ოჯახებზე და ავადმყოფებზე.
- ზრუნავს გვარში გარდაცვლილთა სულის მოსახსენებელი პარაკლისების და ავადმყოფთა ჯანმრთელობის გადახდაზე.
- იფორმაციის ურთიერთგაცვლისა და სხა საქმიანი ურთიერთობის მიზნით, ამყარებს კავშირებს მსგავსი ტიპის არასამთავრობო ორგანიზაციებთან ახორციელებს ნებისმიერ სხვა საქმიანობას, რომელიც არ არის აკრძალული საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.

V. კავშირის დამფუძნებლები

არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის ზარნაძეთა საგვარეულო კავშირის დამფუძნებლებია

1. ზარნაძე დავით ნიკოლოზის ძე, დაბადებული 11.07.1950 თერჯოლის რაიონში, პ/მ №გ 1104175, პ/ნ 01026003385, მცხ. ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 16, ბ 12.
2. ზარნაძე გიზო გრიგოლის ძე, დაბადებული 5.02.1932, თერჯოლის რაიონში, პ/მ № ა0312347, პ/ნ 01017020813 მცხ. ქ. თბილისი, ჩიტაძის ქ. 11.
3. ზარნაძე ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე, დაბადებული 28.08.1957, ქ. ზესტაფონში, პ/მ №დ 0322267, პ/ნ 01025003633, მცხ. ქ.თბილისში, ბუდაპეშტის № 8.
4. ზარნაძე ბონდო ალექსანდრეს ძე, დაბადებული 18.02.1946 ქ. გურჯაანში, პ/მ № დ 1297930, პ/ნ 01014000154, მცხ. ქ.გურჯაანში, ვაჟა-ფშაველას 17.
5. იოსელიანი ნათია ავთანდილის ასული, დაბადებული 11.10.1977, თბილისში, პ/მ № გ1310925, პ/ნ 01027003550, მცხ. დ.გურამიშვილის გამზირი, №12ᵃ, ბ18.
6. ზარნაძე ტარიელი მიხეილის ძე, დაბადებული თერჯოლაში 1.09.1952, პ/მ გ0256922, პ/ნ 0101201 9836, მცხ.თბილისი, ვაზისუბანი I მკრ, კორპ 14, ბ 19.

7. ზარნაძე დავითი სოსოს ძე, დაბადებული 21.02.1969 თბილისში, პ/მ დ 0312318, პ/ნ 01017020727, მცხ. ლ.ასათიანის 39.

VI. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრობა

5.1. კავშირის წევრი შეიძლება იყოს საქართველოს სრულწლოვანი მოქალაქე, რომელიც აღიარებს კავშირის წესდებას და წერილობითი განცხადებით მიმართავს გამგეობას;

5.2. ყოველ წევრს აქვს უფლება გავიდეს კავშირის წევრობიდან ნებისმიერ დროს საწევრო შენატანის უკან დაბრუნების მოთხოვნა დაუშვებელია;

5.4. კავშირის წევრობა არ გადაეცემა სხვა პირებს და არც მემკვიდრეობით გადადის;

5.5. კავშირის წევრი ვალდებულია გადაიხადოს საწევრო შენატანი გამგეობის მიერ დადგენილი ოდენობით ყოველთვიურად (1 ლარის ოდენობით) და აქტიური მონაწილეობა მიიღოს კავშირის მიზნების მისაღწევად, პროპაგანდა გაუწიოს კავშირის მიზნებისა და ამოცანებს;

5.6. კავშირის წევრები ვალდებულნი არიან პატივი სცენ გამგეობის წევრების საქმიანობას და გადაწყვეტილებებს, დაეხმარონ მათ მიზნების განხორციელებაში;

5.7. ყველა წევრი უფლებამოსილია მიიღოს ნებისმიერი ინფორმაცია კავშირის საქმიანობის შესახებ, არჩეულ იქნას და აირჩიოს წარმომადგენლები კავშირის ხელმძღვანელ ორგანოებში.

VII. კავშირის წევრთა/დამფუძნებელთა საერთო კრება

6.1. კავშირის წევრთა საერთო კრებას იწვევს გამგეობა წელიწადში ერთხელ, როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს.

6.2. კავშირის წევრთა საერთო კრების შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით, სოცილაური ქსელების ან ტელეფონის საშუალებით კრებამდე ერთი კვირით ადრე.

6.3. კავშირის წევრთა საერთო კრება ვალდებულია მონაწილეობა მიიღოს და დაეხმაროს გამგეობის წევრებს კავშირის საქმიანობის განხორციელებაში.

6.4. კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ მას ესწრება წევრთა/დამფუძნებელთა უმრავლესობა, კრება გადაწყვეტილებებს იღებს დამსწრე წევრთა უმრავლესობით.

VII. კავშირის გამგეობა

7.1. კავშირის მართვის უმაღლესი ორგანოა კავშირის გამგეობა, რომელიც წარმართავს კავშირის საქმიანობას.

7.2. კავშირის გამგეობას ირჩევენ კავშირის წევრები 8 (რვა) წევრის შემადგენლობით სამი წლის ვადით. გამგეობის უფლებამოსილება გრძელდება ამ ვადის გასვლის შემდეგაც ახალი გამგეობის არჩევამდე.

7.3. ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილება ენიჭებათ გამგეობის წევრებს, რომლებიც ამ უფლებამოსილებას ახორციელებენ ცალ-ცალკე ერთპიროვნულად.

7.4. დამფუძნებელთა კრება წყვეტს კავშირის წევრად მიღების საკითხებს;

7.5. გამგეობა კრებას იწვევს წელიწადში ორჯერ, როცა ამას კავშირის ინტერესები მოითხოვს. გამგეობის კრება შეიძლება მოწვეულ იქნას გამგეობის თავმჯდომარის ან წევრთა მეათედის მოთხოვნით.

7.6. კავშირის წევრთა საერთო კრების შესახებ ყველა წევრს უნდა ეცნობოს წერილობით, სოციალური ქსელების ან ტელეფონის საშუალებით კრებამდე ერთი კვირით ადრე.

7.7. თუ არ არსებობს წევრთა საერთო კრების მიერ დამტკიცებული შინაგანაწესი გამოიყენება ხელმძღვანელობის ზოგადი უფლებები.

7.8. გამგეობის კრება უფლებამოსილია, თუ მას ესწრება გამგეობის წევრთა უმრავლესობა. კრებაზე გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

7.9. გამგეობის კრება გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ ამას ესწრება დამფუძნებელთა უმრავლესობა.

7.10. გამგეობა უფლება მოსილია შეცვალოს კავშირის წესდება, მიზნები, გადსაწყვითოს კავშიურის რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის საკითხი;

7.11. კავშირის ბიუჯეტს განაგებს გამგეობა წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის.

7.12. წესდებით მიღებული გამგეობისა და ნაკისრი ვალდებულებების სისტემატურად და არა ჯეროვნად შეუსრულებლობის შემთხვევაში გამგეობას შეულია გარიცხოს წევრი კავშირიდან. გარიცხულ წევრს უფლება აქვს ეს გადაწყვეტილება გაასაჩივროს საერთო კრებაზე ან კანონით დადგენილი წესით;

7.13. გამგეობის კრებაზე საპატიო მიზეზით თუ ვერ ესწრება წევრი. შეუძლია წერილობით მიიღოს მონაწილეობა კენჭისყრაში, რომელიც გაუთანაბრდება კრებაზე დამსწრე წევრის ხმას.

7.14. გამგეობის კრება თავჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს განსახორციებელ საქმიანობს;

7.15. გამგეობა მიზნების განსახორციებლად ქმნის საინიციატივო ჯგუფებს, რომელთაც ევალებათ გამგეობის მითითებების და დავალებების ჯეროვნად შესრულება;

7.16. საინიციატივო ჯგუფების წევრები შეიძლება იყვნენ მხოლოდ კავშირის წევრები;

7.17. წარმომადგენლობაზე უფლება მოსილი პირები საქმეს კეთილსინდისიერად უნდა უძღვებოიდნენ. თუ ისინი არ შეასრულებენ ამ მოვალეობას, კავშირის წინაშე პასუხს აგებენ წარმოშობილი ზიანისათვის.

7.18. კავშირის ვალდებულებებისათვის მისი წევრები პასუხს არ აგებენ, ასევე არ აგებს პასუხს კავშირი მისი წევრების ვალდებულებისათვის.

7.19. კავშირის გამგეობის პირველ შემადგენლობას ირჩევს დამფუძნებლები, ცვლილების შემთხვევაში ახალ შემადგენლობას ირჩევს წევრთა კრება.

<u>გამგეობის წევრები არიან:</u>

1. ზარნაძე დავით ნიკოლოზის ძე, დაბადებული 11.07.1950 თერჯოლის რაიონში, პ/მ №გ 1104175, პ/ნ 01026003385, მცხ. ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 16, ბ 12.
2. ზარნაძე ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე, დაბადებული 28.08.1957, ქ. ზესტაფონში, პ/მ №დ 0322267, პ/ნ 01025003633, მცხ. ქ.თბილისში, ბუდაპეშტის № 8.
3. ზარნაძე ბონდო ალექსანდრეს ძე, დაბადებული 18.02.1946 ქ.გურჯაანში, პ/მ № დ 1297930, პ/ნ 01014000154, მცხ. ქ.გურჯაანში, ვაჟა-ფშაველას 17.
4. იოსელიანი ნათია ავთანდილის ასული, დაბადებული 11.10.1977, თბილისში, პ/მ № გ1310925, პ/ნ 01027003550, მცხ. დ.გურამიშვილის გამზირი, №12ᵃ, ბ18.
5. ზარნაძე ტარიელი მიხეილის ძე, დაბადებული თერჯოლაში 1.09.1952, პ/მ გ0256922, პ/ნ 0101201 9836, მცხ.თბილისი, ვაზისუბანი I მკრ, კორპ 14, ბ 19.
6. ზარნაძე თეა, დაბადებული თბილისში 15.11.1981, პ/მ დ 1361375, პ/ნ 01027019069, მცხ. ვარკეთილის ზ/პ მე-2 მ/რ კორ. 26 ბინა 9.
7. ზარნაძე ზურაბი იოსების ძე, დაბადების თარიღი 21.10.1989, პ/მ ა 1032222, პ/ნ 01027057757, მცხ. თბილისი, ვარკეთილის ზ/პ მე-2 მკრ. კორპ. 26 ბინა 9.

8. ზარნაძე დავითი სოსოს ძე, დაბადებული 21.02.1968 თბილისში, პ/მ დ 0312318, პ/ნ 01017020727, მცხ. ლ.ასათიანის 39.

VIII. გამგეობის თავმჯდომარე

8.1. გამგეობის თავმჯდომარესა და თავმჯდომარეს მოადგილეს ირჩევს გამგეობა თავისი შემადგენლობიდან 3 (სამი)წლის ვადით.

8.2. გამგეობის თავჯდომარე წარმართავს ყოველდღიურ საქმიანობას წესდების მიზნებიდან გამომდინარე;

8.3. წარმოადგენს იურიდიულ პირს და იურიდიული პირის სახელით დებს ხელშეკრულებებს;

8.4. ხელმძღვანელობს გამგეობის საქმიანობას;

8.5. ქონების და ბიუჯეტის განკარგვის საკითხებზე გადაწყვეტილებებს იღებს გამგეობის თანხმობით;

8.6. უფლებამოსილია ითანამშრომლოს ბანკთან და მისი არყოფნის ანდა საჭიროების შემთხვევაში გასცეს მინდობილობა გამგეობის რომელიმე წევრზე;

8.7. კავშირს წარუდგენს დასამტკიცებლად კავშირის წესდებით გათვალისწინებულ საკითხებს;

8.8. უზრუნველყოფს კრებისა და გამგეობის გადაწყვეტილებათა შესრულებას, ქმნის საინიციატივო და დამხმარე ჯგუფებს;

8.9. გამგეობის თავმჯდომარე ითვალისწინებს გამგეობის წევრთა წინადადებებს და წესდებაში გათვალისწინებულ საკითხებზე წარმოშობილ პრობლემებს;

8.10. გამგეობის ყველა წევრი ვალდებულია გაითვალისწინოს თავმჯდომარის აზრი, მითითებები და შენიშვნები;

8.11. გამგეობის თავმჯდომარის არყოფნის შემთხვევაში, ხელმძღვანელობისა და წარმომადგენლობის უფლებამოსილებას ახორციელებს გამგეობის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც არ საჭიროებს აღნიშნულზე სპეციალურ ნებართვას.

გამგეობის თავმჯდომარე:

ზარნაძე დავით ნიკოლოზის ძე, დაბადებული 11.07.1950 თერჯოლის რაიონში, პ/მ №გ 1104175, პ/ნ 01026003385, მცხ. ქ. თბილისი, ფანასკერტელის ქ. კორპ. 16, ბ 12.

თავმჯდომარის მოადგილე:

ზარნაძე ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე, დაბადებული 28.08.1957, ქ. ზესტაფონში, პ/მ №დ 0322267, პ/ნ 01025003633, მცხ. ქ.თბილისში, ბუდაპეშტის № 8.

IX.დაფინანსების წყარო

9.1. ინდივიდუალურ და იურიდიულ პირთა შემოწირულობანი;

9.2. კანონოთ დადგენილი წესით მიღებული შემოსავლები სხვადასხვა საქმიანობიდან;

X.კავშირის ქონება

10.1. კავშირის ქონება იქმნება საწევრო ანარიცხების, შემოწირულობის, გარანტიებისა და სხვა კანონიერი საშუალებების ხარჯზე;

10.2. კავშირის ქონება შეიძლება გამოყენებული იქნას მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობითა და ამ წესდებით გათვალისწინებული საქმიანობისთვის.

XI. კავშირის რეორგანიზაცია და ლიკვიდაცია

11.1. კავშირის საქმიანობის შეწყვეტა ხდება რეორგანიზაციის ან ლიკვიდაციის გზით.

11.2. კავშირის რეორგანიზაცია (შეერთება, მიეთება, გაყოფა, გარდაქმნა) ხორციელდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

11.3. კავშირის ლიკვიდაცია შეიზლებვა მოხდეს მიზნის მიღწევის გაკოტრების, რეგისტრაციის გაუქმების ან საერთო გადაწყვეტილების საფუძველზე.
11.4. ლიკვიდაციის დროს უნდა დამთავრდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები. დარჩენილი ქონება გამოისახოს ფულად ერთეულებში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გადანაწილდეს ქველმოქმედებაზე ან გვარში გაჭირვებულ და სოციალურად დაუცველ ადამიანებზე.
11.5. ინფორმაცია ლიკვიდაციის შესახებ უნდა გამოქვეყნდეს ქონება შეიძლება განაწილდეს გამოქვეყნებიდან ერთი წლის შემდეგ.
11.6. ლიკვიდაციას ახორციელებს გამგეობა. განსაკუთრებულ გარემოებათა არსებობას, სასამართლოს შეუძლია სხვა ლიკვიდატორის დანიშვნა, ლიკვიდატორები პასუხს აგებენ როგორც გამგეობის წევრები.
11.7. რეორგანიზაცია ლიკვიდაციის გადაწყვეტოლებას იღებს წევრთა დამფუძნებელთა საერთო კრება.

XII. დავის გადაწყვეტა

12.1. არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრებს და მესამე პირებს შორის წარმოშობილი დავა გადაწყდება მათ შორის მოლაპარაკების გზით ან მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ზარნაძეთა კავშირის დამფუძნებლებია:

1. ზარნაძე დავით ნიკოლოზის ძე, პ/ნ 01026003385,
2. ზარნაძე გიზო გრიგოლის ძე, პ/ნ 01017020813
3. ზარნაძე ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე, პ/ნ 01025003633,
4. ზარნაძე ბონდო ალექსანდრეს ძე, პ/ნ 01014000154,
5. იოსელიანი ნათია ავთანდილის ასული, პ/ნ 01027003550,
6. ზარნაძე ტარიელი მიხეილის ძე, პ/ნ 0101201 9836,
7. ზარნაძე დავითი სოსოს ძე, პ/ნ 01017020727,

ზარნაძეთა კავშირის გამგეობის წევრები

1. ზარნაძე დავით ნიკოლოზის ძე, პ/ნ 01026003385,
2. ზარნაძე ნიკოლოზი კონსტანტინეს ძე, პ/ნ 01025003633,
3. ზარნაძე ბონდო ალექსანდრეს ძე, პ/ნ 01014000154,
4. იოსელიანი ნათია ავთანდილის ასული, პ/ნ 01027003550,
5. ზარნაძე ტარიელი მიხეილის ძე, პ/ნ 0101201 9836,
6. ზარნაძე თეა, პ/ნ 01027019069,
7. ზარნაძე ზურაბი იოსების ძე, პ/ნ 01027057757,
8. ზარნაძე დავითი სოსოს ძე, პ/ნ პ/ნ 01017020727,